ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N77

ქ.თბილისი

19 მარტი, 2021 წელი
15⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თევდორე ისაკაძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
გიორგი ბირბიჩაძე
ოთარ გრიგოლია
ლევან დარახველიძე
ერეკლე კუხიანიძე
ზაზა მამალაძე
მიხეილ მესხი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
ნინო რუხაძე
დავით უთმელიძე
ვახტანგ შაქარიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ლევან ჯაფარიძე
ქეთევან ჯოხაძე
ლევან არველაძე
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ანა ლაშხი
ქეთევან მამულაშვილი
თინათინ ნიბლოშვილი
ვაჟა ოთარაშვილი
დათო რურუა
რევაზ სოხაძე
ბორია ფირცხელიანი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)
ილია ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ვახტანგ შაქარიშვილმა ისაუბრა ვაშლიჯვარი-ნუცუბიძის დამაკავშირებელ გზაზე განვითარებულ მეწყრულ პროცესებზე და აღნიშნა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძო კომპანია, მუნიციპალიტეტის დაკვეთით, აწარმოებს საგზაო სამუშაოებს, ხოლო სხვა კერძო კომპანია აშენებს „უზარმაზარ შენობა-ნაგებობას", რასაც შესაძლებელია ხელი შეეწყო ზემოთ ხსენებული მეწყრული პროცესების განვითარებისთვის. მისი თქმით, საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას და ექსპერტიზის კვალიფიციურ დასკვნას, რათა გაირკვეს ჰქონდა თუ არა ზემოქმედება ხსენებულ მშენებლობებს მეწყრული პროცესების განვითარებაზე და გამოთქვა მოსაზრება, რომ საკრებულომ, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის აწ სპეციალური კომისიის სამუშაო ფორმატში, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან და სამსახურებთან ერთად, დეტალურად უნდა შეისწავლოს აღნიშნული საკითხი.

გიორგი დოხტურიშვილმა განმარტება გააკეთება იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ვაშლიჯვარი-ნუცუბიძის დამაკავშირებელ გზაზე განვითარებული მეწყრული პროცესების დაჩქარება გამოიწვია ახალი გზის მშენებლობამ და განაცხადა, რომ მეწყრული პროცესები განვითარდა ძველი გზის ზედა ფერდზე და შესაბამისად, ამ პროცესთან არავითარი კავშირი არ აქვს ახალი გზის რეაბილიტაციას. მისი თქმით, აღნიშნულზე მოხდა მყისიერი რეაგირება, მიმდინარეობს საკითხის შესწავლა დარგის სპეციალისტების მხრიდან, ხოლო მომდევნო კვირიდან სამუშაო პროცესში ჩაერთვებიან უცხოელი სპეციალისტებიც. რაც შეეხება თბილისის საკრებულოს ჩართულობას, აღნიშნა, რომ საკრებულო მზად არის, თბილისის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან ერთად, მონაწილეობა მიიღოს საკითხის შესწავლაში. გიორგი დოხტურიშვილმა აქვე განმარტა, რომ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს თბილისის მერია გეგმავს მეწყრული ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლების ევაკუაციას, არ შეესაბამება სიმართლეს.

ვაჟა ოთარაშვილი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ საკრებულოში შეიქმნას კომისია, რომელიც ჩაერთვება ვაშლიჯვარი-ნუცუბიძის დამაკავშირებელ გზაზე განვითარებული მეწყრული პროცესების გამომწვევი მიზეზების შესწავლაში. აქვე, გამოთქვა მოსაზრება, რომ გამოცხადდეს მორატორიუმი მანამ, სანამ არ იქნება გეოლოგიური დასკვნები მთელი ქალაქის მასშტაბით, რადგან, მისი თქმით, თბილისი მდებარეობს სეისმურად აქტიურ ზონაში. ვაჟა ოთარაშვილმა ასევე, ისაუბრა დავით აღმაშენებლის ძეგლის ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გადმოტანაზე. სხდომაზე წარადგინა 2015 წლის გაზეთი „ასავალ-დასავალი" და წაიკითხა ამონარიდი მაშინდელი პრემიერ მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, სიტყვიდან, სადაც ის ამბობს, რომ „მერიამ და საკრებულომ დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისის ცენტრში დაბრუნების საკითხი აუცილებლად უნდა განიხილოს". ვაჟა ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ წელს სრულდება დიდგორის ომში გამარჯვების 900 წლისთავი და მიმართა საკრებულოს წევრებს, იმსჯელონ დავით აღმაშენებლის ძეგლის „დეადქალაქის ღირსეულ ადგილას" გადმოტანაზე.

ავთანდილ ცინცაძემ ვაშლიჯვარი-ნუცუბიძის დამაკავშირებელ გზაზე განვითარებულ მეწყრულ პროცესებზე განაცხადა, რომ „ეს არ არის გუშინ დაწყებული პრობლემა" და როგორც კი გამოვლინდა აღნიშნული პრობლემა, მუნიციპალიტეტმა, პრევენციის მიზნით, აღნიშნულ გზაზე მოძრაობა შეზღუდა ორმხრივად. მისი თქმით, მეწყრული პროცესების განვითარებასთან არავითარი კავშირი არ აქვს ახალი გზის მშენებლობას, რადგან ის მიმდინარეობს არსებული ძველი გზის ქვედა მხარეს, ხოლო მეწყრული პროცესები განვითარდა ამ გზის ზედა მხარეს. ავთანდილ ცინცაძემ აღნიშნა, რომ დარგის სპეციალისტები, მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად, ახორციელებენ 24 საათიან მონიტორინგს და საკითხის შესასწავლად მოწვეულნი არიან უცხოელი სპეციალისტებიც. მან

აქვე აღნიშნა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაციასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან მუნიციპალიტეტი ელოდება ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მითითებებს, რათა სამომავლოდ იმოქმედოს მათი მითითებების შესაბამისად.

გიორგი ბირბიჩაძემ მწუხარება გამოთქვა ახალგაზრდა ექთნის, მეგი ბაქრაძის გარდაცვალების გამო. განაცხადა, რომ მან, პანდემიასთან ბრძოლაში, „გამოიჩინა უდიდესი პროფესიონალიზმი... თავისი საქციელით მაგალითი მისცა ჩვენს მოქალაქეებს“ და სამძიმარი გამოუცხადა მისი ოჯახის წევრებს, მეგობრებს, კოლეგებს და სრულიად საქართველოს.

გიორგი ტყემალაძე შეუერთდა მეგი ბაქრაძის გარდაცვალების გამო გამოთქმულ მწუხარებას, სამძიმარი გამოუცხადა მის ოჯახს და სრულიად საქართველოს. ასევე, გამოეხმაურა ვაშლიჯვარი-ნუცუბიძის დამაკავშირებელ გზაზე განვითარებულ მეწყრულ მოვლენებს და აღნიშნა, რომ საკრებულოს ხელთ არსებული ინფორმაციით, აღნიშნული დაკავშირებული არ არის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი გზის მშენებლობასთან, თუმცა, რამდენიმე დღეში, უფრო ნათელი გახდება, თუ რა იყო მეწყრული პროცესების გამომწვევი მიზეზი. მისი თქმით, საკითხის შესწავლაში ჩართული არიან შესაბამისი დარგის პროფესიონალი სპეციალისტები, რომლებსაც უახლოეს დღეებში შეუერთდებიან უცხოელი სპეციალისტები. რაც შეეხება საკრებულოს, ის ჩართულია აღნიშნული პრობლემის მოგვარების პროცესში და როგორც კი გაეცემა ამ საკითხთან დაკავშირებულ კითხვებს პასუხები, საკრებულო მიიღებს მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის საჭირო გადაწყვეტილებებს. მან ასევე, უპასუხა ვაჟა ოთარაშვილის მიერ დასმულ საკითხს დავით აღმაშენებლის მეგლის ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გადმოტანაზე და მიმართა მას, რომ საკრებულო უახლოეს მომავალში იმსჯელებს ამ საკითხზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72 136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი
თანამომხსენებელი: გიორგი ბირბიჩაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

4. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ქუჩა მირზა გელოვანი, ჩიხი V, N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.016.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N120-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.072) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა, N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.060.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა, N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.073.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა N13-17/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.048.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, უშანგი (შმაგი) სოფრომაძის I შესახვევი, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, საყვირის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.165.02.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125.01.501 და N01.13.07.021.125.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, მეგობრობის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.071.01.511) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა კორპუს N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.008.003.01.514) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, რქაწითელის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.086.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, მიროტაძის (ყოფილი ოჟიოს) ქუჩა N15 ის მიმდებარედ 136 კვ.მ. ს/კ.: N01.10.13.033.928 და ქალაქი თბილისი, გიორგი მიროტაძის ქუჩა N3-ის მიმდებარედ, 129 კვ.მ. ს/კ.: N01.10.13.033.937) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონი, მოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონა- ცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ.: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ერმილე ნიკოლაიშვილს (პ/ნ.: 01008005123) შორის 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-287-13-16084 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ.: N01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ.: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 8 ნოემბრის N375 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქ.თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ.N40 (ყოფილი ქუჩა აკური, N33, ქუჩა ალმასიანი N40, N42, N44, N46. (ნაკვეთი N35/31) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.035.053) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შუქრი კაკაურიძის (პ/ნ.: 01019009108) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

21. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

22. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

23. „ქალაქ თბილისში, დ გურამიშვილის გამზირი N84-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.01.003.207; N01.12.01.003.219; N01.12.01.003.193; N01.12.01.003.058; N01.12.01.003.191) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

24. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

25. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.523; N01.72.14.009.443) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

26. „ქალაქ თბილისში, ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.767) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

27. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.05.009.111; N01.14.06.003.041) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

28. „ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის I შესახვევი, N11, N13, N7, N15, N17, N19, N9 ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.15.563; N72.16.15.564; N72.16.15.561, N72.16.15.565; N72.16.15.566; N72.16.15.544; N72.16.15.562) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

29. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამაში ერთ ერთი მედიკამენტის ფასის შემცირება 300 ლარით, რაც გამოიწვევს საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას და მუნიციპალიტეტს მიეცემა შესაძლებლობა გამოთავისუფლებული თანხა დამატებით მოახმაროს პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ ცვლილებები შეეხება ახალი მიკროავტობუსების მარშრუტების გაშვებას, რის შემდეგაც 45 მარშრუტზე იმოძრავებს 300 ერთეული ახალი მიკროავტობუსი.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ ახალი მიკროავტობუსების ნუმერაციის და მარშრუტების ცვლილებამ მოქალაქეების დიდ ნაწილში გამოიწვია გაურკვევლობა და აქედან გამომდინარე, კარგი იქნება, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს სტრატეგია საზოგადოების ინფორმირების კუთხით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია ცვლილებების განხორციელება რამდენიმე მარშრუტში, დროებით მოქმედი ორი მარშრუტის გადატანა ინტეგრირებულ ქსელში და გლდანში მოძრავ ექვს მარშრუტში ტექნიკური ცვლილების განხორციელება, რაც გამოწვეულია ხიზანიშვილისა და ვეკუას ქუჩებზე საგზაო მონიშვნების დასრულებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ქუჩა მირზა გელოვანი, ჩიხი V, N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.016.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 79 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1992 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N120-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.072) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 256 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომლებიც 2003 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული

6. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა, N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.060.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 100 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 25 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. აღსანიშნავია, რომ ხსენებული მოქალაქე არის კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული და მისთვის საცხოვრებელი ფართის დაკანონებით მოხდება სახელმწიფოს მხრიდან აღიარებული შიდა ვალის გასტუმრებაც.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა, N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.073.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 71 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1993 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა N13-17/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.048.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 106 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 29 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, უშანგი (შიაკი) სოფრომაძის I შესახვევი, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 127 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2007 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, საყვირის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.165.02.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და

განმარტა, რომ წარმოდგენილია 48 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125.01.501 და N01.13.07.021.125.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 91 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომლებიც 2012 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 530 კვ.მ. ფართის გადაცემა თორმეტი ოჯახისთვის, რომლებიც 2012 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, მეგობრობის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.071.01.511) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 47 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა კორპუს N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.008.003.01.514) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ  ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 46 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2004 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, რქაწითელის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.086.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 51 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, მიროტაძის (ყოფილი ოჟიოს) ქუჩა N15-ის მიმდებარედ 136 კვ.მ. ს/კ.: N01.10.13.033.928 და ქალაქი თბილისი, გიორგი მიროტაძის ქუჩა N3-ის მიმდებარედ, 129 კვ.მ. ს/კ.: N01.10.13.033.937) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა, დამტკიცებული გრგ-ს ფარგლებში. მუნიციპალიტეტს გადაეცემა 259 კვ.მ. ტერიტორია გზის გაფართოების და ავტოსადგომების მოწყობის მიზნით, ხოლო კერძო მესაკუთრეს გადაეცემა 265 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ბარაკების ჩანაცვლების და სამომავლოდ გახვითარების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონი, მოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონა- ცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ.: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება გამოწვეულია იმით, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ერთ-ერთი პირი, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, იმყოფება კომატოზურ მდგომარეობაში. იქიდან გამომდინარე, რომ ხელი არ შეეშალოს პროექტის განხორციელებას, ხსენებულ პირს, როგორც მხარეს, ამ ეტაპზე, ჩაანაცვლებს მუნიციპალიტეტი და გამოჯანმრთელების შემდეგ, განახორციელებს მისთვის ფართის გადაცემას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ერმილე ნიკოლაიშვილს (პ/ნ.: 01008005123) შორის 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-287-13-16084 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ კერძო მესაკუთრეს მიწის ნაკვეთი გადაცემული ჰქონდა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე, თუმცა, მუნიციპალიტეტის მხრიდან მიწერილი უარის გამო, მან ვერ მოახერხა მიწის ნაკვეთის გაერთიანება, რომელზეც უნდა განეთავსებინა ღობე და ამიტომ მიმართა სასამართლოს. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, გაუქმდა მოქალაქისთვის მიწერილი უარი და მუნიციპალიტეტს დაევალა თანხმობის გაცემა. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია პირობის ცვლილება და მოქალაქეს ეძლევა შესაძლებლობა განახორციელოს 4 მეტრამდე სიმაღლის ღობის მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ ფასთა შორის სხვაობას, 3346 ლარს, კერძო მესაკუთრე გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ.: N01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ.: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 8 ნოემბრის N375 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ა(ა)იპ „ია“ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროფესიულ სწავლებას. მუნიციპალიტეტს მისთვის, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში, გადაცემული აქვს 181 კვ.მ. ფართი, სადაც მოწყობილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმებისთვის საჭირო სახელოსნოები. ამ ეტაპზე, წარმოდგენილია ა(ა)იპ-სთვის ზემოთ ხსენებული ფართის გადაცემა 3 წლის ვადით და 15000 ევროს ინვესტიციის განხორციელების პირობით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქ.თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ.N40 (ყოფილი ქუჩა აკური, N33, ქუჩა ალმასიანი N40, N42, N44, N46. (ნაკვეთი N35/31) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.035.053) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შუქრი კაკაურიძის (პ/ნ.: 01019009108) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელმშემწყობი ღონისძიებების გატარებას, რომელიც შეთანხმდა ერთი წლის წინ. თუმცა, ხსენებული ობიექტი გამოირჩეოდა საკმაოდ მაღალი სართულიანობით და მერიის თხოვნის საფუძველზე, მოხდა სართულიანობის შემცირება 11000 კვ.მ.-თი, რის საკომპენსაციოდაც ინვესტორს, ნუცუბიძეზე, გადაეცა მიწის ნაკვეთი 5.5 კ2 კოეფიციენტით, რომლის ათვისებაც ვერ ხერხდება სიმაღლის ნორმების გამო. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია განმცხადებლის თხოვნის დაკმაყოფილება, რომ დაზუსტდეს ხელშეწმყობი ღონისძიებები და არ გავრცელდეს სიმაღლის ნორმების განსაზღვრის წესები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

21. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ცვლილებები წარმოდგენილია რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ: დადგენილებით განსაზღვრული იყო, რომ 2019 წლიდან, 2 წლის განმაელობაში, განეითარება უნდა მომხდარიყო და პროექტები შეთანხმებულიყო გეგმარებითი დავალების შესაბამისად, თუმცა, ქვეყანაში არსებული

მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს დრო არ აღმოჩნდა საკმარისი და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ვადის გაგრძელება 2021 წლის 31 დეკემბრამდე; ცვლილება შედის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის რეგლამენტებში, რომლის მიხედვითაც დასაშვები სახეობა იქნება საოფისე შენობა-ნაგებობის განთავსება, ხოლო საგამონაკლისო წესით - რესტორნების განთავსების შესაძლებლობა; იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა და ამავდროულად სატყეო ან რეკრეაციული ზონა 1, მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა განახორციელონ ღობის მოწყობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

22. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წინადადებები წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-032107139-03 თარიღი: 12.03.2021, N12-032107460-03 თარიღი: 15.03.2021, N12-032104946-03 თარიღი: 18.02.2021 (განსახილველად წარმოდგენილია „ა“, „ბ“ და „ი“ პოზიციები), N12-032107743-03 თარიღი: 18.03.2021 და N12-032107744-03 თარიღი: 18.03.2021, რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და შესაბამისად, განსახილველად უნდა გადაიდოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-032107743-03 წერილით წარმოდგენილი „ბ“ პოზიცია და N12-032107744-03 წერილით წარმოდგენილი „ბ“ პოზიცია, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისში, დ.გურამიშვილის გამზირი N84-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.01.003.207; N01.12.01.003.219; N01.12.01.003.193; N01.12.01.003.058; N01.12.01.003.191) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 40477 კვ.მ., რომელზეც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, სადაც ტერიტორიის 75% დაეთმობა საცხოვრებელ, ხოლო 25% საოფისე და კომერციულ ფართებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

24. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 8750 კვ.მ., რომელზეც, მოქმედი ფუნქციური ზონის - საცხოვრებელი ზონა 1-ის ფარგლებში, განთავსდება 16 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

25. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.523; N01.72.14.009.443) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 12756 კვ.მ., რომელზეც, მოქმედი ფუნქციური ზონის - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის ფარგლებში, დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, სადაც ტერიტორიის 75% დაეთმობა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, ხოლო 25% - კომერციულ და საოფისე ფართებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

26. „ქალაქ თბილისში, ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.767) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის განვითარება ხორციელდება 2020 წელს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც

გათვალისწინებულია დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლების განთავსება, რომელთა მაქსიმალური სიმაღლე იქნება 15 მეტრი, ხოლო მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 4 სართულით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

27. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.05.009.111; N01.14.06.003.041) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 8125 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია 2020 წელს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალების შესაბამისად, კერძოდ, მშენებლობა განხორციელდება საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით, სადაც მაქსიმალური სიმაღლე იქნება 27 მეტრი, რაც არის დაახლოებით 7-8 სართული.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ სადაც თავისუფალი მიწის ნაკვეთია, ყველგან მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა არ შეიძლება, რადგან აღნიშნული ამახინჯებს ქალაქის იერსახეს და ქმნის სატრანსპორტო კოლაფსს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

28. „ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის I შესახვევი, N11, N13, N7, N15, N17, N19, N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.15.563; N72.16.15.564; N72.16.15.561; N72.16.15.565; N72.16.15.566; N72.16.15.544; N72.16.15.562) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

29. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ეხება ერთ საკადასტრო კოდს, სადაც, განაშენიანების სწორი განვითარების მიზნით, განსაზღვრული სამი სართულის ნაცვლად, განხორციელდება ხუთი სართულის მშენებლობა, თუმცა, უცვლელი დარჩება სამშენებლო მოცულობა და პარამეტრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 5 დადგენილება და 24 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე